ივანე გიგინეიშვილი

XVIII ს. პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა და ვახტანგ მეექვსე

როგორც ცნობილია, XII საუკუნიდან მოკიდებული დაიწყო ძველი ქართული სალიტერატურო ენის თანდათანობით შეცვლა ახალი ქართული სალიტერატურო ენით. ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი ცოცხალი სასაუბრო ენის ფორმების სალიტერატურო ენაში უხვად შემოჭრის ფაქტს ეფუძნებოდა. დაიწყო ძველი ქართული სალიტერატურო ენის თანდათანობითი გადამუშავება სასაუბრო მეტყველებისა და ახალი დიალექტების საფუძველზე. ამ პროცესში მთავარ როლს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტები ასრულებდნენ — ქართლური და კახური. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პროცესის დაჩქარებაში სწრაფ განვითარებას საერო მწერლობისას, რომელმაც არსებითად უკუაგდო ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას დაემყარა. სალიტერატურო ენის ფორმები ძალიან დაუახლოვდა დიალექტების ფორმებს, ეს ფორმები ახლა სალიტერატურო ენის ორგანულ შემადგენელ ნაწილად იქცა.

მიუხედავად ამისა, ძველი სალიტერატურო ენის ტრადიციები ძალიან ძლიერი იყო და ზოგი ძველი ფორმა დიდხანს აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი, განსაკუთრებით ისეთი ფორმები, რომლებიც ცოცხალი იყო დიალექტებში, უფრო კი სალიტერატურო ენის საყრდენ დიალექტებში.

ძველი ქართული ნორმების ასე თუ ისე შემონახვას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ძველი სალიტერატურო ენა შემორჩა საეკლესიო ხასიათის ძეგლებში. ხოლო, მეორე მხრივ, ძველი სალიტერატურო ენის პოზიციებს ამაგრებდნენ და განამტკიცებდნენ ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში.

ახალი ნორმების ჩამოყალიბება-ჩამოქნას და, მით უმეტეს, უნიფიკაციას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ. ახალი ნორმების დამკვიდრება ფერხდებოდა და ძნელდებოდა, სალიტერატურო ენა აღარ იყო ძველი ქართულის მსგავსად მტკიცედ ნორმალიზებული, მას მოაკლდა ის

დახვეწილობა, რაც ძველი სალიტერატურო ენისათვის იყო ნიშანდობლივი; მას მოაკლდა ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რაც საზოგადოდ დამახასიათებულია სალიტერატურო ენისათვის, მასში ნაირგვარი ფორმები დამკვიდრდა და იგი დიალექტს მიუახლოვდა, მას დაემსგავსა. ასეთია XVI—XVII საუკუნეების მწერლობის ენა, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები და მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები მოჭარბებულად იჩენენ თავს. ამ პროცესის ერთადერთ შემაკავებელ ფაქტორად ლიტერატურული ტრადიცია გვევლინებოდა.

ეს იყო სალიტერატურო ენის ახალ საყრდენ დიალექტებზე გადასვლის პროცესი. ეს დიალექტები ქართლური და კახური იყო. ის ნაირგვარი ფორმები, რომლებიც XVI და XVII საუკუნეთა მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება, ამ დიალექტებიდან მომდინარეობენ. მართალია, ამასთან ერთად შემცირდა სალიტერატურო ენის გამაერთიანებელი, ერთიანობისაკენ მიმსწრაფველი ძალა, მაგრამ უამისოდ აღნიშნული პროცესის მიმდინარეობა შეუძლებელი იქნებოდა, ამ პროცესის დასრულებას კი, ივარაუდება, სალიტერატურო ენის კვლავ დახვეწის შედეგად ამ ენის მაუნიფიცირებელი, გამაერთიანებელი ძალის აღდგენა უნდა გამოეწვია. დიალექტური ფორმების უხვად შემოჭრა სალიტერატურო ენაში ამ ენის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების პროცესის, მისი გახალხურების პროცესის ბუნებრივი, ამასთან მიუცილებელი, შედეგი იყო. მაგრამ სალიტერატურო ენა საბოლოოდ ასეთი ვერ დარჩებოდა, იგი ამ გზით საბოლოოდ არ შეიძლებოდა წასულიყო. გახალხურებული არ შეიძლება ნიშნავდეს დიალექტად ქცეულს. სალიტერატურო ენა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა და განვითარების თავისთავადი გზა, არ შეიძლებოდა რომელიმე დიალექტის ფორმათა განმმეორებლის ფუნქციით დაკმაყოფილებულიყო. ქართულ სალიტერატურო ენაში კი ასეთი ტენდენციები მძლავრობდა XVI—XVII საუკუნეებში. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ XVII—XVIII საუკუნეების მწერლობაში ამის საწინააღმდეგო ტენდენციამ იჩინა თავი, რაც იმაში გამოიხატა, რომ სალიტერატურო ენა განთავისუფლდა დიალექტური ფორმების მოძალებისაგან და ამის მისაღწევად არ დაერიდნენ თვით ისეთ საშუალებებსაც კი, როგორიც იყო, მაგალითად, ფორმათა ერთგვარი არქაიზაცია. ეს არ ნიშნავდა, რა თქმა უნდა, ძველი ქართულის აღდგენას თავის უფლებებში, ეს შეუძლებელი იყო. ამოსავლად დარჩა იგივე ენა, რომელიც XVI—XVII საუკუნეების მხატვრული ლიტერატურის ძეგლებშია წარმოდგენილი, მაგრამ ეს ენა განთავისუფლდა აშკარა კილოური ფორმების მოძალებისაგან და მას შეექმნა უკვე უფრო მტკიცე ნორმები. ამ მიზნისათვის ფართოდ იქნა გამოყენებული ძველი ქართული მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ასე მოხდა და ამით არსებითად დასრულდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი XVIII საუკუნის ნახევრისათვის. ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ ამ საუკუნეში გამოკვეთილი, თავისთავადი სახე მიიღო. ესაა ენა, რომლითაც, ერთი მხრით, ნაწილობრივ, ამ საუკუნის საქმიან-საკანცელარიო, ანუ სამდივანმწიგნობრო დოკუმენტებია შესრულებული, ხოლო, მეორე მხრით, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის პროზაშია წარმოდგენილი. იგი არსებითად ახალი ქართული სალიტერატურო ენაა, თუმცა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არაა სავსებით თავისუფალი არც ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მოვლენებისაგან და არც დიალექტური ფორმებისაგან.

სულხან-საბა ორბელიანმა თავი დააღწია დიალექტიზმების მოჭარბებას, ერთი მხრით, და ერთგვარი არქაიზაციაც მოახდინა სალიტერატურო ენისა, მეორე მხრით; მაგრამ ეს არ იყო მობრუნება უკან, ძველი ქართულისაკენ. არქაიზაცია საბასათვის მის თხზულებათა ენის ლიტერატურულობის, დიალექტისაგან, სასაუბრო ენისაგან განსხვავებულობის ხაზგასმას წარმოადგენდა.

სულხან-საბა ორბელიანის ენა წარმოგვიდგენს გარკვეულ ეტაპს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე. ეს ის ეტაპია, როცა არსებითად დასრულდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი, დასრულდა იმდენად, რომ უკვე შესაძლებელი გახდა მის მონოლითურობაზე, მის დახვეწა-დამუშავებაზე, დიალექტურ ფორმათაგან მის გაწმენდაზე ზრუნვა. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული ენა მის ახლო წინამორბედთა ენისაგან პირველ ყოვლისა ლიტერატურული დამუშავებულობით გამოირჩევა. სულხან-საბა ორბელიანის მიერ არჩეული ეს გზა ერთადერთი მართებული და სწორი გზა იყო სალიტერატურო ქართულის შემდგომი განვითარებისა.

XVIII საუკუნის პირველი ნახევარი სულხან-საბა ორბელიანის ეპოქაა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. ამ დროს სულხან-საბას ხელში სალიტერატურო ენამ დაიბრუნა ერთ დროს დაკარგული მონოლითურობა და კარგად დაუპირისპირდა დიალექტს, როგორც ლიტერატურული მეტყველება. წინა ეპოქების ენას, სულხან-საბას წინამორბედთა ენას, ან ზედმეტი ხელოვნურობა ეტყობოდა, ან ლიტერატურული დაუმუშავებლობა ემჩნეოდა. სულხან-საბამ ხელოვნურობაც აიცილა თავიდან, დიალექტური ფორმებიც მინიმუმამდე დაიყვანა და მოგვცა ლიტერატურულად დამუშავებული ენის შესანიშნავი ნიმუში.

ვახტანგ VI სულხან-საბა ორბელიანის თანამედროვე იყო. ლირიკოსი პოეტი — სწავლული მეფე სულ რამდენიმე წელს იყო ქართლის გამგებლად და ბრწყინვალედ წარმართავდა ქვეყნის ინტელექტუალურ ცხოვრებას. მისი თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით, სწავლულ

კაცთა დახმარებით დამუშავდა „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია; დამუშავდა სამართლის წიგნები „ვახტანგის კანონები“ და „დასტურლამალი“ (სწორედ ამის გამო ეწოდა მას **სჯულმდებელი**); ვახტანგმა დააარსა თბილისში სტამბა, სადაც დაბეჭდა ქართულად წიგნები და მათ შორის 1712 წელს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა გამომცემლის მიერ შედგენილი „თარგმანით“ (კომენტარებით); ვახტანგი ეწეოდა ფართო მთარგმნელობით საქმიანობას, კერძოდ, მან თარგმნა სპარსულიდან „ქილილა და დამანა“, ხოლო შემდგომ ეს თარგმანი სულხან-საბა ორბელიანს „გააჩალხვინა“ და ა. შ.

ვახტანგ VI-ს ტიტანური ლიტერატურული შრომა აქვს გაწეული მისთვის მეტად მძიმე პოლიტიკურ პირობებში თუ პირადს ვითარებაში. მას ამ მუშაობაში გვერდით ედგა მისი უფროსი თანამედროვე, მისი აღმზრდელი და ნათესავი სულხან-საბა ორბელიანი.

პიროვნება, რომელმაც ამდენი გააკეთა თავისი სამშობლოს კულტურისა და მწერლობის წინსვლისა და განვითარებისათვის, ბუნებრივია, გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა მისი დროის სალიტერატურო ენის განვითარებაზედაც და, მართლაც, ვახტანგ მეექვსის ღვაწლი ამ მხრივაც თვალსაჩინოა.

ვახტანგის პოეზიის ენა XVII საუკუნის ქართული მწერლობის ენის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და დიდად არ განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან: ძველი სალიტერატურო ენის ნორმები დარღვეულია, დიალექტური ფორმები შემოდის სალიტერატურო მეტყველებაში, შეიმჩნევა დიდი გავლენა „ვეფხისტყაოსნისა“, საიდანაც გადმოდის მზა ფორმები, გამოთქმები და რითმები, ოღონდ დარღვეულია სინტაქსური შეწყობის წესები, ერთმანეთის გვერდით კარგად თავსდებიან ძველებური და ახალი ფორმები, შეთანხმებული და შეუთანხმებელი კონსტრუქციები... გვხვდება აშკარა დარღვევებიც, რომლებიც არც ძველი ქართულის ნორმებით გამართლდება და არც რომელიმე დიალექტის თავისებურებით.

ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ვახტანგი არ მისდევს მისი უფროსი თანამედროვის სულხან-საბა ორბელიანის კვალს. თუ სულხანთან არქაიზაციისაკენ ერთგვარი გადახრა შეგნებული ხერხი იყო სალიტერატურო ენის უნიფიკაციისათვის, ვახტანგთან ეს არქაიზმები სტიქიურად მომდინარეობენ წინა საუკუნეების მწერლობის ენისაგან.

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს.

მოთხრობითი ბრუნვის არქაული, **მან**-დაბოლოებიანი ფორმების გვერდით ახალი ფორმები დგას ისე, რომ ეს არ ემსახურება რაიმე გარკვეულ სტილებრივ მიზანს. ერთი მხრით, არის: **მდეველმან**, **მწეველმან**, **დამაძლეველმან**, **დამალეველმან**; **წყალმან** არა ქნას სისველე, **ცეცხლმან** არ დასწვას თვალები, აგრევ **სოფელმან** ცქაფობა...; **გრიგალმან ქარმან**

იქროლა; **კაცმან** უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს... მეორე მხრით კი გვხვდება: მანდით ნასროლმა **ისარმა** გული გამიპო მალ ამით; გიშრისა **მშვილდმა**, მელნის **ტბამ** გლახ გული წყლული მიწამა, **ბროლმა** და **ლალმა** გარევით ლამის დღეთ სიგრძე მიწამა; მიხედე, **ჟამმა** რა მიყო **ცრუმა** და **ანაზდეულმა**...

დამახასიათებელია, რომ მიმართებითი ნაცვალსახელი **რომელმან** თითქმის ყოველთვის არქაული ფორმითაა წარმოდგენილი, იგი თითქოს გაქვავებულაო ამ ფორმაში.

ასევე ხშირია რუსთაველის მიბაძვით შეთხზული რითმები, რომლებიც ასე ხშირად გვხვდება XVII ს. მწერლობაში, და რუსთველისებურად შექმნილი ლექსიკური ერთეულები:

დედამან, ზედამან, შემოქმედამან, მხედამან;
მეფეო, მოსაკრეფეო, მყეფეო, სეფეო;
თმობანი, ხმობანი, დნობანი, ნობანი;
ნარგიზმან ია, სუმბულმან სატირლად მათკენ *აროსა*;
ვნახე ბერი ყრმათა *უყრმე* და ყმაწვილი ბერთ *უბერე*;
ტანი ალვად, ხელ-მკლავები *მოგრძე* მშვილდებ მოსაკრძალად;
ესეგვარმან თავი თვიხი იპირუტყოს, ხამს *იხაროს*;
მტილი ყვავილით აღვსილი მე ნებით ჩემით *ვინარე*;
გასინჯა, იცნა მისივ ფრთა ისართა ზედა *მწებარე* (იქვე *მგებარე*, *მგზებარე*);
რას ვარგა კარგი საჭმელი მარილზე *მოუწონია*?
უგზავნიდენ დანიშნულთა თვისსა, გინდა *ედებოდეს* (←და);
სწავლა გავს წყალსა წმიდასა, *რუულად* მომდინარესა.

დამახასიათებელია, რომ ხშირად ასეთ რითმებს ენობრივ-გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) გამართლება არა აქვს:

მიწაც იხარებს უსულო, რა *დღე* მოუვა *ზმნისანი*;
მფშოვნობით ყვავის, მწვანობით, რა *სითბო* ნახოს *მზისანი*;
შენცა იხარე მეტყველმა *დღესასწაული* *ღვთისანი*;
ყვავილის მსგავსად აჩვენე *ღვაწობა* *კეთილისანი*.

უკვე დარღვეულია ნორმა სუბიექტის თუ სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის ზმნაში აღნიშვნისა.

რა ივნისში *წყლებმა* *შტონი* *გაამრავლოს* გარდადენით
(წყლებმა გაამრავლოს! შტონი გაამრავლოს!).

ამ მხრივ **ნ** სუფიქსიანი მრავლობითი ზოგჯერ არც აღიქმება, როგორც მრავლობითის ფორმა:

კვლავ *ნიამორი* *უცხონი*, დომბისა შესადარები
(ნიამორი უცხონი!)

შეთანხმების დარღვევის თვალსაზრისით კარგ ნიმუშს წარმოადგენს ვახტანგის შესანიშნავი ტაეპი — **ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა.**

აქ დარღვეულია შეთანხმება როგორც ზმნისა სახელთან (**ნაწლევნი იწოდა**), ისე სახელისა სახელთან (**ნაწლევნი მარიამისა**).

ალ. ბარამიძეს აღნიშნული აქვს, რომ დავით გურამიშვილს „ღვთისმშობლის ტირილში" განმეორებული აქვს ვახტანგის ეს გამოთქმა: **ჩემნი იწვიან ნაწლევნიო.** დამახასიათებელია, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ დავით გურამიშვილის ლექსში — **ჩემნი იწვიან ნაწლევნი, ვხედავ შენს ჯვარზედ ვნებასა** — შეთანხმება დაცულია როგორც სახელისა სახელთან (**ჩემნი ნაწლევნი**), ისე ზმნისა სახელთან (**იწვიან ნაწლევნი**).

ლიტერატურული წარმოშობისა (წინა საუკუნეებიდან მომდინარე) ჩანს კრევერბთა არქაული ფორმების მოჭარბება ვახტანგის ლექსში.

> განვამდიდრე, განვამრავლე, ზეცით მივეც ნაყოფთ ცვარი,
> აღვაშფოთე სასწაულით, მოუვლინე მკალი, მყვარი,
> განვიყვანე ხელთა მათგან უჭირველად განაგვარი,
> ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი.

წინა საუკუნის მწერლობიდან მომდინარეობს **იგი** ნაცვალსახელის ბოლომოკვეცილობა, რაც თითო-ოროლა შემთხვევაში ვახტანგთანაც გვხვდება (სიბრძნეს არ მისდევს სიმდაბლე, **იგ** მისი საქებარები; **იგ** გვრიტი ქალწულებისა ეცა შენს გულის ბადესა; ღამე უძლვი ნათლის სვეტით, დღე ღრუბლით ვჰყავ **იგ** მოარი); **ევ** სუფიქსის გამოვლენა ზმნებში ნამყო უსრულში (მწვანედ **ღელევდეს** მიდამო; მეფეს არჩილსა **სძრახევდენ**, სხვას თემს რომ იყო მვლელია; ფარავანზედ შექცეულნი თევზსა **სწვევდენ** მუნა ბადით; ხოხობი მაღლა **ფრინევდეს**, კაკაბი დაღონოსა)...

ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი: მეტად დამახასიათებელი ფაქტია, რომ ვახტანგის ბრწყინვალე ლექსში „რანი და მოვაკანი და..." **და** კავშირი გამოყენებულია განმეორებითი, მრავალჯერადი კავშირის ფუნქციით და იხმარება ტაეპების ბოლოშიც. მსგავსი ფაქტები სხვაცაა ქართულ მწერლობაში ცნობილი, მაგრამ ასე გამოკვეთილად მაინც არსად არაა წარმოდგენილი:

> რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,
> გათავდა ყოვლი წერილი ანი, ბანი და, განი, და...
> ვიარე ყოვლი ქვეყანა სიგრძე და სივრცე, განი და...
> ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...
> ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და,
> ვაჲ-ვაჲ, მსაჯს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!

ამ ფაქტს სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის" ცნობილი **და** კავშირის ფუნქციის გარკვევისათვის.

ამ მოვლენების გვერდით ვახტანგის ლექსებში გვხვდება ლიტერატურული წარმოშობის სიახლეები.

ახალი მოვლენაა, როდესაც ვახტანგის პოეზიის ენაში მოიპოვება პოსტპოზიციურად დასმული მართული სახელი, რომელიც ასე გავრცელდა შემდეგ XIX საუკუნის ლექსის ენაში და გაბატონებული პოზიციები დაიკავა თანამედროვე ქართული ლექსის ენაში.

> შ ე ყ რ ა ს ა ჰგავს მ ზ ი ს და მ თ ვ ა რ ი ს;
> ან მ ა გ ა ლ ი თ ი პ ლ ა ტ ო ნ ი ს, ან პ ი თ ა ღ ო რ ი ს დამეღოს;
> რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა!
> მწვანედ ელევდეს გარემო, ც ვ ა რ ი ც ი ს მაზედ ესხასა...

შეყრა მზის და მთვარის! მაგალითი პლატონის ან პითაღორის! ცვარი ცის!

1712 წელს ვახტანგ მეექვსემ თავის მიერვე დაარსებულ სტამბაში დაბეჭდა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“[1]. ამ გამოცემას მან დაურთო კომენტარები — „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა, თქმული ბატონის შვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“. ამ თარგმანში ვახტანგს წარმოდგენილი აქვს თავისი ინტერპრეტაცია პოემის გარკვეული სტროფებისა და ამასთან ერთად მოცემული აქვს ახსნა მრავალი სიტყვისა ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით. თუ რა მაღალ დონეზე დგას ვახტანგის ეს ნამუშევარი, ამის შესახებ შეიძლება დავიმოწმოთ ვახტანგის 1712 წლის გამოცემის აღმდგენი და გამომკვლევილი ა. შანიძე, რომელმაც სალექსიკონო მასალა გამოყო საერთო თარგმანიდან და ლექსიკონის სახე მისცა მას. ა. შანიძე წერდა: „ბევრი სიტყვა ვახტანგს ჩინებულად აქვს ახსნილი. მაგალითად, ძუნწის შესახებ ამბობს: „ძუნწი — კაცს ჰქონდეს, ხარჯი მართებდეს და არ იხარჯებოდეს“. ამაზე კოხტად და ზუსტად სიტყვის ახსნა შეუძლებელიაო.

ამჯერად ვახტანგის „თარგმანი“ ჩვენ გვაინტერესებს ენობრივი თვალსაზრისით. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ „თარგმანის“ ენა არაა ერთგვაროვანი. „თარგმანის“ შესავალი და ის ნაწილები, რომლებშიც ვახტანგი პოემის სხვადასხვა სტროფის შინაარსობრივ ანალიზს იძლევა, საკმაოდ მძიმე სტილითაა ნაწერი, მიუხედავად იმისა, რომ მასში უხვადაა წარმოდგენილი სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. სამაგიეროდ, ცალკეულ სიტყვათა განმარტებები დაწერილია ბრწყინვალე, უმარტივესი და უსადავესი ენით იმ შემთხვევებშიც, როცა მნიშვნელობათა განმარტებისას ვახტანგი სულხან-საბა ორბელიანზე ჩანს დამო-

[1] ამ გამოცემის ენობრივ თავისებურებათა შესახებ იხ. მ ზ. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება, თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული, თბ., 1966.

კიდებული და იმ შემთხვევაშიც, როცა ის სრულიად დამოუკიდებელია. ვახტანგი ხშირად აღწევს ამ მხრივ საბას ლექსიკონის განმარტებათა სიმაღლეს. არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ჭავლი, მსხვილად რომ დაგრეხილი იყოს, იმას ჰქვიან. **წყლის ჭავლი,** რომ გარდასციმციმებდეს და გარდასდინდებოდეს და ჩაიგრიხებოდეს, ის არის.

ხირა რიგსაც ჰქვიან და ოქრომჭედლის პირით საბერველს ლულასაც; ორივე კარგად ითქმის.

ქვრიმა ფეტვია, ღომის თავსავით არის, მომცროა.

ჭარმაგი თეთრზედ შავით დაწინწკლული არის, ან იმრიგი ტანსაცმელი ეცვა ავთანდილს, ან ცხენს იჯდა იმრიგს.

ნაკი ნამეტნავს ჰქვიან; **ჭმუნვა** მწუხარება არის.

კამათობა ცილება ან დავი არის; **ფლიდი** თათარნი რომ ფლიდს ეძახიან, ის არის; **ნიშატი** მართლა არ ვიცოდი; **კეკლუცი** ლამაზია და **დუხჭირი** გონჯი, ავ სანახავს ჰქვიან; **მოხმა,** იქიდამ რომ აქ მოიტანო, ის არის; **ლმობილი** მტკივნეულია და **ლმობიერი** წყნარია, მშვიდსავით მგონია; **ხასიათი** სხვა ენა არის; **ეფრატი** წყალსა ჰქვიან, და **მჭევრი** მრავალგვარად რომ კაცი მეტყველებდეს, ის არის.

დაფახვა, თვალს ხუჭევდეს, ის არის, **ხულა** მომცროს ფიცრის სახლს ჰქვიან, **დარბაზი** ხომ სამეფო სახლია!

შარშანდელსა და გუშინასწინდელსა **ძოლან** ჰქვიან; **ნამუსი** ქართულად პირისწყალი არის და არაბულად სჯულსა ჰქვიან; **მქისი** ხორკლიანი თუ დამშხალული არის.

მკურნალი, ახლა რომ აქიმს ეძახიან, იმას ჰქვიან. **აქიმი** სხვის ენითა ბრძენსა ჰქვიან და **მკურნალი** აქიმი არის; **პატიჟი** ზეით სწერია.

რიდე თავსახვევსა ჰქვიან, რომელსა ინდნი და სპარსნი თავსა იხვევენ და არაბნი; **სრვა** ამოწყუეტას ჰქვიან; **კიდე** ნაპირს ჰქვიან. **ქურციკი** ჯერანსა ჰქვიან; **დაშრომა** დაღალვაა; **ალვის** ხე კვიპაროზსა ჰქვიან, ნაძვს რომ გავს; **ედემი** შვებასა ჰქვიან და საშვებელს, და საშვებელის ხედ უბნობს ავთანდილის ქებას; **ასჯერ ოცი** ორი ათასია.

კენარი მე არ ვიცოდი. ვინც იცოდეთ, სთარგმნეთ; არც **დაღრეჯა** ვიცი მართალი; **შეფრობა** ვერ გავარჩიეთ.

როგორც ადვილად დავრწმუნდებით, ეს განმარტებები ენობრივად და სტილებრივად ძალიან ჰგავს სულხან-საბა ორბელიანის განთქმულ განმარტებებს და მრავალ შემთხვევაში არც ჩამოუვარდება მათ.

ვახტანგ VI ფართო მთარგმნელობითს მუშაობას ეწეოდა. როგორც ცნობილია, ქირმანს ყოფნისას მან თარგმნა ცნობილი „ქილილა და დამანა". ეს თავისი ნამუშევარი გასამართავად (სარედაქციოდ) და ლექსებით გასაწყობად მან სულხან-საბა ორბელიანს გამოუგზავნა, რომელმაც შეასრულა ვახტანგის თხოვნა და გადაამუშავა მისი როგორც პროზაული, ისე ლექსითი ნაწილი. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სათანადოდ შესწავლილია ამ ტექსტთა ურთიერთობა და შესაფერისი დასკვნებიც არის მიღებული ამ საკითხის გარშემო. აქ ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ვახტანგის თარგმანის ენობრივ მხარეს, საილუსტრაციოდ ავიღებთ „ქილილა და დამანას" ერთ ლექსს, რომელსაც პირობითად „ქალს" უწოდებენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები, რომელთა დასკვნით „მისი

პროზაული თარგმანი ვახტანგს მოცემული აქვს მისთვის დამახასიათებელი სიტყვასიტყვითი სიზუსტით“.

კარგი დედაკაცი, სიტყვის გამგონი და კარგგუნება,
ღარიბ კაცს გაამდიდრებს.
თუცა დღედაღამ ნაღველსა სჭამ, ნაღველს ნუ სჭამ,
რადგან ნაღვლის მაქარვებელი ღამით უბეს გაკრავს.
თუცა კარგგულია და კარგენა,
მის სილამაზესა და ავთვალადობას ნუ ეძებ.
ქალი ავგული, თუ გინდა კეკლუცი იყოს, როდის ექნება გულში ადგილი?
ყაზის საპყრობილეში გაბმა სჯობს იმას, რომ სახლში მისი წარბის ნასკვი ნახო.
ფეხშიშველობა სჯობს ვიწროს მაშიას და მგზავრობაში ბრძოლა სჯობს სახლში შუღლს.
სიმხიარულის კარი იმ სახლისა დაკლიტე, რომ ქალის მაღალი ხმა გარეთ გამოვიდეს.
უცხოსაგან ქალის თვალი ბრმა ხამს, თუ სახლიდან გამოვიდეს, საფლავში ჩავიდეს.

ამ ლექსის საბასეული რედაქცია, როგორც ცნობილია, ბრწყინვალე ლექსია თავის მხატვრულ თუ ენობრივ თვისებათა მხრივ, მაგრამ, თუ ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ ამ ორ რედაქციას, აღმოჩნდება, რომ საბასეული რედაქცია გაცილებით უფრო არქაულია, უფრო ძველია, მაშინ როცა ვახტანგის ზემომოყვანილ ტექსტში არ მოიპოვება (**ხამს** ზმნის გარდა) ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკიდან თუ მორფოლოგია-სინტაქსიდან აღებული არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფორმა... ყველაფერი ახალი ქართულისაა. XIX საუკუნეშიც კი ზოგჯერ გაცილებით უფრო არქაულად წერდნენ ჩვენი მწერლები.

რასაკვირველია, აქაც იმ ტენდენციის გამოვლენაა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი: ვახტანგი მრავალ შემთხვევაში სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებისაკენ სწრაფვას იჩენს, სულხან-საბა ორბელიანი არქაიზაციისაკენ ერთგვარ მიდრეკილებას ამჟღავნებს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ვითარება ალბათ იმ ფაქტმა შეაპირობა, რომ ვახტანგი მაინც პწკარედს აკეთებდა, სულხან-საბა კი ლექსს ქმნიდა (სტილი!).

ვახტანგ VI არ ყოფილა თავისი ეპოქის, XVIII ს. პირველი ნახევრის, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი, განმსაზღვრელი ტენდენციის გამომხატველი. ძირითადი ტენდენციის გამომხატველი სულხან-საბა ორბელიანი იყო. ვახტანგი წინა საუკუნის ქართული მწერლობის ენის გამგრძელებელი იყო პოეზიაში. მაგრამ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის XVIII საუკუნისა და, საერთოდ, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების, გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების საქმეში. ვახტანგის დაუღალავმა მოღვაწეობამ შექმნა ყველა პირობა იმისა, რომ

ქართულ სალიტერატურო ენას გაფართოებოდა მოქმედების არე, აღდგენოდა და გამრავლებოდა ფუნქციები. მისი ღვაწლით, მისი უშუალო მონაწილეობით ან ხელის შეწყობის შედეგად ახლად დამუშავდა საქართველოს ისტორია, ქართული სამართალი... ყველაფერმა ამან კი ქართულ სალიტერატურო ენაში სპეციალურ სტილთა განვითარება და ქართული სალიტერატურო ენის დიდ შესაძლებლობათა გამოღვიძება და აღორძინება გამოიწვია.